ცხადდება კონკურსი
სამეცნიერო ხარისხის მქონე თსუ-ს პერსონალისთვის,
რომელიც ჩართულია კვლევით ან/და საგანმანათლებლო საქმიანობაში
ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტში (გერმანია)
DAAD-ს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში,
კვლევითი სტაჟირების განხორციელებისათვის განკუთვნილი სტიპენდიების მოსაპოვებლად
ასევე,
თსუ-ს აკადემიური პერსონალისათვის
კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში (გერმანია) და სტამბულის უნივერსიტეტში (თურეთი)
ერაზმუს +პროგრამის ფარგლებში, სწავლების მიზნით მობილობის განხორციელებისათვის განკუთვნილი
სტიპენდიების მოსაპოვებლად

1. ***DAAD-ს აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში:***

გერმანია

უნივერსიტეტი	**ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტი**
მიმართულება	ჰუმანიტარულ მეცნიერებაები (ენების გარდა), სოციალურ და პოლიტიკური მეცნიერებები, ფსიქოლოგიის მეცნიერება, სამართლის მეცნიერება, გერმანული ფილოლოგია, ეკონომიკა და ბიზნესი
მობილობის ენა	გერმანული ან ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	მობილობა უნდა განხორციელდეს **2026 წლის 31 დეკემბრამდე და დასრულდეს არაუგვიანეს 2027 წლის იანვრისა**;
ვებ-გვერდი	https://www.uni-jena.de/en
მობილობის ხანგრძლივობა	1 (ერთი) კალენდარული თვე
სტიპენდიის სრული მოცულობა:	**2,000 ევრო**

შერჩეულმა სტიპენდიატებმა თავად უნდა აანაზღაურონ საერთაშორისო მგზავრობისა და სამოგზაურო დაზღვევის ხარჯები!

2. ***ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში:***

გერმანია

უნივერსიტეტი	**კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი**
მიმართულება	ეკონომიკა და ბიზნესი (მიკროეკონომიკის მიმართულება)
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2026/2027 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი
ვებ-გვერდი	https://www.hs-koblenz.de/en/rac/welcome-at-the-rheinahrcampus-in-remagen
მობილობის ხანგრძლივობა	11.11.2026 – 11.01.2027
ჩასატარებელი კურსები	B25.1/B25.4 საერთაშორისო ბიზნესი (საბაკალავრო საფეხური) ორი ჯგუფი

თურქეთი

უნივერსიტეტი	**სტამბოლის უნივერსიტეტი**
მიმართულება	გინეკოლოგია, ფარმაკოლოგია
მობილობის ენა	ინგლისური
მობილობის განხორციელების ვადა	2026/2027 სასწავლო წელი
ვებ-გვერდი	https://www.istanbul.edu.tr/tr/
მობილობის ხანგრძლივობა	5 სამუშაო დღე

სტიპენდიანტთა შესარჩევი პროცესი:

1. ელექტრონული განაცხადისა და შესაბამისი დოკუმენტაციის შემოწმება (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
2. გასაუბრება კანდიდატთა შესარჩევ კომისიასთან (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი)
3. საბოლოო შერჩევა/სტიპენდიის მინიჭება (მასპინძელი უნივერსიტეტი)

სააპლიკაციო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

4. პასპორტის ასლი (*პასპორტის არ არსებობის შემთხვევაში, ატვირთეთ პირადობის მოწმობა*);
5. CV-ს ევროპული ფორმატი **გერმანულ ან ინგლისურ ენაზე** ;
6. ცნობა სამსახურიდან **ინგლისურ ენაზე**;
7. სადოქტორო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (დიპლომი) ასლი (***მხოლოდ იენის უნივერსიტეტის შემთხვევაში);***
8. სამუშაო გეგმის მონახაზი არაუმეტეს 3 გვერდისა (**გერმანულ ან ინგლისურ ენაზე**); ტექნიკური მახასიათებლები: ფონტი - Times New Roman, ფონტის ზომა - 12, line spacing – 1.0, ველები - 2სმ. ***(მხოლოდ იენის უნივერსიტეტის შემთხვევაში);***
9. მასპინძელი უნივერსიტეტის მიერ გაცემული დაინტერესების წერილი (***Letter of Interest***)
10. შევსებული სამუშაო გეგმა (Mobility Agreement) ინგლისურ ენაზე (***მხოლოდ კობლენცის და სტამბულის უნივერსიტეტების შემთხვევაში);*** დოკუმენტი უნდა იყოს დამოწმებული თსუ- ს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერით და ბეჭდით; დანართი 1;
11. რეკომენდაცია ინგლისურ ენაზე (ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე mobility.tsu.ge რეკომენდატორის ველში უნდა შეიყვანოთ თქვენი რეკომენდატორის მონაცემები. რეკომენდატორს მეილზე ეგზავნება ბმული, სადაც ონლაინ ავსებს რეკომენდაციას);
12. აპლიკანტის ინფორმირებული თანხმობის ფორმა (გთხოვთ, ჩამოტვირთეთ დანართი 2, შეავსეთ გამოტოვებული ველები, ამობეჭდეთ, ხელი მოაწერეთ, დაასკანერეთ და ატვირთეთ pdf ვერსია);

მობილობის პროგრამაზე განაცხადის გაკეთებით დაინტერესებული აპლიკანტები უნდა დარეგისტრირდნენ ელექტრონულ სარეგისტრაციო პორტალზე *mobility.tsu.ge*, ატვირთონ სააპლიკაციო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი (PDF ფორმატში) და გადმოგზავნონ განაცხადი ელექტრონულად მიმდინარე წლის 5 აგვისტოს 14:00 საათამდე!

!!! ელფოსტაზე მიღებული განაცხადები არ განიხილება

დამატებითი მნიშვნელოვანი ინფორმაცია:

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ პორტალი *mobility.tsu.ge*:

- არ არეგისტრირებს განაცხადებს ზემოთ მითითებული ვადის (**5 აგვისტოს 14:00სთ**) გასვლის შემდეგ;
- არ არეგისტრირებს არასრულ სააპლიკაციო პაკეტს.

- **სააპლიკაციო განაცხადი ელექტრონულად ჩაბარებულად ითვლება მხოლოდ გაგზავნის ღილაკის დაჭერის შემდეგ.**
- სააპლიკაციო დოკუმენტაციის წარმატებით გამოგზავნის შემდეგ აპლიკანტი მეილზე მიიღებს შესაბამის შეტყობინებას.
- **გასაუბრებების ჩატარების სავარაუდო თარიღი: 2026 წლის 6 აგვისტო**; ზუსტი დრო და თარიღი ინდივიდუალურად დაეგზავნება ყველა აპლიკანტს პორტალზე [***mobility.tsu.ge***] მითითებულ მეილზე;